ნასყიდობის ხელშეკრულება # 1

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ქ. თბილისში 2012 წლის ----h ვ ს-----

ივნისიდან და ქალაშია 10 ივნისიდან .

ერთის მხრივ შპს „ელენიკო"–ს წარმომადგენელი რაულ ბერიძე (შემდგომში მომწოდებელი), ხოლო მეორე მხრივ ქალაქ თბილისის # 76 საჯარო სკოლის დირექტორი

გაიოზ გრძელიძე (შემდგომში შემსყიდველი) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სკოლისთვის საჭირო სამეურნეო საქონლის, კერძოდ, TV სადენის,ინტერნეტის სადენის,ჯეკის,ხელთათმანების,მილი ბერკეს 100/200 3,2მ ,სიფონი ჩაშკის 100 იანი , მუხლი 100/ 45, ხუფი 100 იანის, მუხლი 100/90 ბერკეს, სიფონი უბ ნოვას თანხით 312 ლარი 65 თეთრი (სამას თორმეტი ლარი და 65 თეთრი) მიწოდება. მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნის შესაბამისად შემსყიდველს შესაბამისი დოკუმენტაციის თანდართვით მიაწოდოს საქონელი ქვეყანაში დაფიქსირებული საშუალო საბაზრო ფასების ფარგლებში. მხარეები თანხმდებიან, რომ საქონელზე ფასის გადახდა მოხდება საქონლის მიწოდების შემდეგ, ანგარიშსწორების ფორმა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

2. მხარეთა უფლება მოვალეობანი

2.1. მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი ხარისხის და სტანდარტის საქონელი.

ბ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული ზარალი.

შემსყიდველი ვალდებულია: ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. დადებული ხელშეკრულებით პროდუქციის ღირებულება შეადგენს საქონლის ღირებულებას დღგ–ს ჩათვლით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. როცა ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელია ფორცმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე ორივე მხარე პასუხისმგებლობიდან თავისუფლდება წერილობითი თანხმობის შემდეგ.

5. ხელშეკრულების ბათილობა

5.1. ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება მოიშალოს;

ა) მიმწოდებლის ინიციატივით შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისას.

ბ) შემსყიდველის ინიციატივით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისას.

გ) მხარეთა შეთანხმებით

დ) ფორცმაჟორული სიტუაციის დროს.

ხელშეკრულება ბათილია ვადის გასვლის შემდეგ

6. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით (რაც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით) შეუთანხმებლობის შემთხვევაში ორივე მხარეს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს.

7. ხელშეკრულების მოქმედება

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 10 აგვისტომდე, თუ ზემოთაღნიშნული ვადის გასვლამდე 1 (ერთი) კვირით ადრე მხარეები წერილობით არ შატყობინებენ ერთმანეთს, რომ არ სურთ ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება, ეს ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად ყოველი შემდგომი ვადით , იმავე პირობებით.

8. დამატებითი დებულებები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ერთი ინახება გამყიდველთან, მეორე – მყიდველთან.

ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

გამყიდველი	მყიდველი
შპს " ელენიკო „	ქალაქ თბილისის # 76 საჯარო სკოლა
სს„საქართველოს ბანკი" GE67BG0000000281083100	ს/კ 208142829
ბანკის კოდი BAGAGE22	სს „ლიბერთი" ბანკი ისანი–სამგორის
ს/კ 406035829	ფილიალი GE77LB0121153139247000
რაულ ბერიძე	გაიოზ გრძელიძე